27/02/2025

MES 6 25 0000210623

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14.02.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:50 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე (II, III)
სხდომის მდივანი: ციური დურული (I)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე -** სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **დავით ტეფნაძე -** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

10. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
11. **ხათუნა თოდაძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
12. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
13. **დიანა მჭედლიშვილი** –შპს „კავკასიის უივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
2. **ნანა კავლელაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. **გიორგი ირემაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი:
სერგო ტეფნაძე - რექტორი;
ნიკა თიკანაშვილი - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
ემზარ ბარბაქაძე - რექტორის მაოდგილე სასწავლო დარგში;
ტატო ლაფაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი ევგენიძე - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:
ვახტანგ ჭარაია - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი;
თეა სამჭკუაშვილი - საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი;
ზვიად გაბისონია - ციფრული მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
მოგელი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს ევროპის უნივერსიტეტი:
ნონა ზუბიტაშვილი - კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ეკა კაველიძე - სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
სოფიო ხუნდაძე - ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მინართულებით;
ნინო ღაჭავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- გეორგ ქუფი (Georg Köpf) (I);
- ეკა გეგეშიძე (I);

- შორენა ქურდაძე (I);
- ნინო პატარაია (I);
- ნინო ფერაძე (I);
- ნატალი ალექსანდრა გურვიტს - სუიტსი (Natalie Aleksandra Gurvits-Suits) (II);
- ნინო ფარსადანიშვილი (II);
- ქრისტინე ჩიხლაძე (II);
- ელენე გრიგოლია (II);
- ილია ბოცვაძე (II);
- არჩილ ჩოჩია (III);
- ილია წიკლაური (III);
- ნინო ბოგვერაძე (III);
- სანდრო ტაბატაძე (III);
- დიმიტრი ცანავა (III).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **თამარ ლომინაძემ**.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. სხდომის მდივნობა I საკითხზე შეასრულა საბჭოს წევრმა ციური დურულმა, ხოლო II და III საკითხებზე საბჭოს მდივნობა გააგრძელა საბჭოს მდივანმა, დავით ტეფნაძემ.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო", "საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "საავიაციო მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო, "ციფრული მმართველობის" სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ევროპის უნივერსიტეტის “კერძო სამართლის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო და "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა, შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე და მეხუთე საკითხების განხილვა გადადებულიყო 18 თებერვლის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე. აკრედიტაციის საბჭომ იმსჯელა რა ცენტრის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე, ერთხმად დააკმაყოფილა ის.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო, "საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "საავიაციო მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო, "ციფრული მმართველობის" სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ევროპის უნივერსიტეტის "კერძო სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო, "საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "საავიაციო მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180;

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (Bachelor of Business
in Management);
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 180;

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საავიაციო მენეჯმენტი;
საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტში (Executive Master of Business Administration in Air Transport Management);
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 60;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დავით ტეფნაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით სხდომის მდივნის ფუნქცია შეასრულა საბჭოს წევრმა, ციური დურულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, გეორგ ქუფი (Georg Köpf), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამების შეფასება გაიმართა ოქტომბერში. საავიაციო უნივერსიტეტში შეფასდა სამი განსხვავებული პროგრამა, რომლებიც უკავშირდებოდა „საჰაერო ტრანსპორტს“. დაწესებულების მხრიდან მიღებული იქნა კარგად მომზადებული თვითშეფასების ანგარიში, დაისვა უამრავი კითხვა, რომლებზეც შესაბამისი პასუხები მიიღეს ექსპერტებმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. უნივერსიტეტი მზად არის მომავლისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად. პროგრამები შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. გაცემული იყო მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ხარისხების შეფასების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად წინასწარ განსაზღვრული შაბლონების დანერგვა-გამოყენებას. მისი აზრით, კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი უფრო პრიორიტეტულს გახდის ახალ პროგრამებთან დაკავშირებით ორივე ენაზე ინფორმაციის გამოქვეყნებას, რა თქმა უნდა, როგორც ქართულად, ისე ინგლისურად. სამი წარმოდგენილი პროგრამიდან მხოლოდ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით იყო გაცემული შენიშვნა, კერძოდ, სამაგისტრო პროგრამაზე ჩართული ყოფილიყო მეტი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი. ამრიგად, უნივერსიტეტი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და ის იმედოვნებს, რომ უნივერსიტეტს სამომავლოდ ეყოლება მეტი საერთაშორისო სტუდენტები და პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორი, სერგო ტეფნაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის.

სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილემ, ნიკა თიკანაშვილიმა, განაცხადა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებისა და ინიციატივის დონეზე მოხდა სამწლიანი საბაკალავრო (180 ECTS) და ერთწლიანი (60 ECTS) სამაგისტრო პროგრამების განხორციელება. მისი თქმით, დაწესებულება ერთ-ერთი პირველი, რომელმაც დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ამ პროგრამების განხორციელება, განსაკუთრებით სამაგისტრო დონეზე, რადგან ამ პროფესიაში დასაქმებული პირები გამოთქვამენ კვალიფიკაციის ამაღლების სურვილს. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საბაკალავრო საფეხურზე იზრდება ამ უნივერსიტეტით დაინტერესებული პირების, განსაკუთრებით კი უცხოელი სტუდენტების რაოდენობა. შესაბამისად, ეს პროგრამები ხელს შეუწყობს როგორც ინტერნაციონალიზაციის, ისე მობილობის საკითხს. ამრიგად, უნივერსიტეტი ეთანხმება ყველა რეკომენდაციას.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეგა გეგეშიძემ, აღნიშნა, რომ პროგრამები საკმაოდ კარგად შეფასდა. სამ და ერთწლიან პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას მჭირდო კავშირი აქვს ბიზნესთან, კერძოდ, საქართველოში არსებულ აეროპორტებთან და ავია კომპანიებთან. დამსაქმებლებისათვის ეს სამწლიანი და ერთწლიანი პროგრამების საუკეთესო გამოსავალია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და შენახვა ძვირი ჯდება და თავად პროგრამებიც ძვირადღირებულია. მან აღნიშნა, რომ დიდია დამსაქმებლების მზაობა აღნიშნული პროგრამების განხორციელებისთვის. სტაჟირების დროს მისულ სტუდენტებს, პროქტიკის განმავლობაში, უნაზღაურებენ კვების, მგზავრობისა და სხვა საჭირო ხარჯებს, თუმცა ამის მიუხედავად დამსაქმებელთა ნაწილი კარგად ვერ აღიქვამს თუ როგორ უნდა იყოს ინტეგრირებული სამაგისტრო კვლევა ბიზნესის პრაქტიკულ ნაწილში, როგორ უნდა დაეხმაროთ ეს მათ განვითარებაში. კარგი იქნება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ ინტენსიურად იმუშაოს დამსაქმებლებთან ამ საკითხების განვითარებისათვის და დაიწყოს ამ სამაგისტრო კვლევების ჩატარება უშუალოდ საწარმოებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას საავიაციო მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ 10 კვირა იყო სწავლება, ხოლო 5 კვირა გამოცდები. მისი თქმით, სტანდარტულად 15 კვირა არის სასწავლო კვირა, რომლის მიღმაც გამოცდებია. შესაბამისად, ეს იწვევს სილაბუსების შეცვლას. მას აინტერესებდა, რამდენად შესაბამისი იქნებოდა ადვილად მასალის ათვისება სტუდენტების მიერ 10 კვირაში. ის ასევე დაინტერესდა კორპორაციული სტრატეგიის სილაბუსში მითითებული ლიტერატურით, ფრედ და ფორესტ დევიდების ავტორობის სახით. მისი თქმით, ეს არის საბაკალავრო დონის ლიტერატურა, რომელიც შეცვლილი უნდა იყოს სამაგისტრო დონის სახელმძღვანელოთი.

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი ევგენიძემ, აღნიშნა, რომ გაითვალისწინებენ გიორგი ღაღანიძის რჩევას ლიტერატურასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სასწავლო კვირასთან დაკავშირებით დასმულ კითხვას, სილაბუსებში სასწავლო მასალა საკონტაქტო საათების მიხედვით არის მარტივად ათვისებადი. რომ აქ საუბარია არა ბაკალავრიატის საფეხურის დამთავრებულ სტუდენტზე, არამედ დარგის იმ სპეციალისტზე, რომელიც უკვე მუშაობს კონკრეტული მიმართულებით. შესაბამისად, მას სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება აქვს და მსგავსი საკითხები, რომლებიც სილაბუსშია გათვალისწინებული, უცხო არ არის. დაწესებულების მიზანია ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავება დარგში არსებული სხვადასხვა თანამედროვე მასალებით. აქედან გამომდინარე, 60 კრედიტის 3 სემესტრზე და 10 სასწავლო კვირაზე გადანაწილება განხორციელებადი და მარტივად ათვისებადი იქნება.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამის „ფინანსური აღრიცხვის“ სასწავლო კურსის სწავლის შედეგში მითითებულია შემდეგი: „იცის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები“, თუმცა აღნიშნული სასწავლო კურის შინაარსში არ არის არცერთი თემა ამ საკითხთან დაკავშირებით მითითებული. შესაბამისად, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი ამ საკითხს გადახედავს. გოჩა თუთბერიძის თქმით, სამაგისტრო პროგრამაზე მისანიჭებელ კვალიფიკაციად განსაზღვრულია „საჰაერო მენეჯმანტის მაგისტრი“. პროგრამა არის 60 კრედიტიანი. მან კითხვით მიმართა დაწესებულებას, რამდენად შეესაბამებოდა ეს კვალიფიკაცია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად განსაზღვრული ტიპური კვალიფიკაციის მოთხოვნებს.
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ევგენიძემ, განაცხადა, რომ ნაცვლად იმისა, რომ ამ სწავლის შედეგის ამოღება მოხდეს, მის განმახორციელებელ პედაგოგთან კიდევ ერთხელ დაზუსტდება ეს საკითხი და მოხდება შესაბამისი თემების დამატება. ეს შეიძლება ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყოს. რაც შეეხება კვალიფიკაციასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას, განაცხადა, რომ როდესაც პროგრამის შექმნის პროცესი მიმდინარეობდა, ეს საკითხი დღის წესრიგში არ ყოფილა დაყენებული.
საბჭოს თავვმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების" მაგისტრის ხარისხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეუძლია აირჩიოს გარკვეული მიმართულება და სიღრმისეულად ასწავლოს ეს. მან განმარტა, რომ აღმასრულებელი მაგისტრი გულისხმობს იმ ადამიანს, ვინც დასაქმებულია და მუშაობს და გარკვეული გამოცდილება აქვს და შემდეგ უნდა კარიერული დაწინაურება კონკრეტული მიმართულებით. ასეთი პროგრამები გარკვეულ ფინანსურ მობილიზაციაში ეხმარება უნივერსიტეტებს.
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი ევგენიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა არის ინგლისურენოვანი. ინგლისურენოვან პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია ზუსტად ისეა განსაზღვრული როგორც უნდა იყოს. ქართულენოვანი პროგრამა, რომელიც თარმგნილია, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ნაწილში ტექნიკური ხარვეზია დაშვებული.
აკრედიტაციის ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ექსპერტებს შორის იყო მსჯელობა. მისი თქმით, პირველი ასეთი პროგრამა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში თსუ-მ შემოიტანა, რომლის საფუძველზეც ბევრი კარგი პრაქტიკა დაინერგა, თუმცა რამდენად შეესაბამება ეს პროგრამა „მენეჯმენტის“ დარგობრივ მახასიათებელს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. კარგი იქნება თუ სხვა დარგობრივი მახასიათებელი გაკეთება ამ პროგრამისთვის. დაწესებულებას მეტი საკონტაქტო საათებისა და დატვირთვის ხარჯზე უწევს დარგობრივ მახასიათებლისა და ასეთი პროგრამისთვის დადგენილი კრიტერიუმების დაფარვა.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ პროგრამა თავისი შინაარსითა და ხარისხით რამდენად იყო ურთიერთშესაბამისი. მისი თქმით, საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი სამაგისტრო დონის პროგრამებისთვის განკუთვნილ სვეტში ზის.
აკრედიტაციის ექსპერტის, ეკა გეგეშიძის აზრით, პროგრამას აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის კოდი და აკადემიური ხარისხი მინიჭებული. ასევე ეს სფერო სრულად აკმაყოფილებდეს ამ მიმართულებას. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს პროგრამა ასეთი სათაურის მატარებელი იყოს. უნივერსიტეტის პროგრამების სათაურები, არის ერთგვარი რეკლამა სტუდენტთა მოზიდვის მიზნით.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ ის არ იყო ცვლილებების განხორციელების წინააღმდეგი კვალიფიკაციის ფორმულირებაში. მას დაუშვებლად მიაჩნია ორივეს ერთად ცვლილებების განხორციელება, კერძოდ როგორც კვალიფიკაციის, ისე საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას. შესაბამისად, ან ერთი უნდა შეიცვალოს, ან მეორე.
სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილე, ნიკა თიკანაშვილმა, განაცხადა, რომ, უნივერსიტეტი ამ საკითხზე იმსჯელებდა. მისი თქმით, „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამა საქართველოში დაახლოებით სამი წელია ხორციელდება. არსებობს

შესაბამისი მტკიცებულებები იმისა, რომ პროგრამის სახელწოდება და მისი შინაარსი შესაბამისობაშია ერთმანეთთან. როგორც ექსპერტებმა დასკვნაში აღნიშნეს, არა მარტო პროგრამის სახელწოდება და შინაარსია შესაბამისობაში, არამედ სილაბუსები ქეისების დონეზე და მთლიანად პრაქტიკა. პროგრამის დასახელება სრულად პასუხობს საკანონმდებლო მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, გოჩა თუთბერიძემ, განმარტა, რომ კვალიფიკაციის დასახელება შესაცვლელი სამაგისრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში და უნდა ეწეროს „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი“, რადგან ამას ითვალისწინებს დარგობრივი სტანდარტიც.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ ეს არის წმინდა ხასიათის ტექნიკური შეცდომა, რომელსაც უნივერსიტეტი აუცილებლად გამოასწორებს და წარმოადგენს შესწორებულ ფორმულირებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:56
დასრულების დრო: 15:11

პროგრამა 1: „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე.

პროგრამა 2: „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე.

პროგრამა 3: „საავიაციო მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საავიაციო მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საავიაციო მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე.

მეორე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო, "ციფრული მმართველობის" სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა და პოლიტიკა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180;

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ციფრული მმართველობა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ვასილ კუკუტაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, ნატალი ალექსანდრა გურვიტს - სუიტსი (Natalie Aleksandra Gurvits-Suits), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის როგორც თბილისის, ისე ბათუმის კამპუსები. მისი თქმით, განსაკუთრებით დასაფასებელია ბათუმის კამპუსის არსებობა, რადგან ეს არის ძალიან კარგი მხარდაჭერა რეგიონისთვის. ექსპერტების მხრიდან გაიცა როგორც ზოგადი, ისე ინდივიდუალური რეკომენდაციები ცალკეული პროგრამებისთვის. ზოგადი რეკომენდაციების ნაწილში ხაზი გაუსვა იმას, რომ უნდა

ამაღლდეს ცნობიერება სტუდენტებში პლაგიატთან დაკავშირებით. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს გარე შეფასებების შედეგები. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს გარკვეული „ვორკშოპები“ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან დაკავშირებით. საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით მხოლოდ მცირე შენიშვნები გაიცა. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას, რეკომენდაცია იყო პროექტის მენეჯმენტის კურსის სავალდებულო კომპონენტში დამატებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ დაემატოს კოლეგიალური შეფასება. რაც შეეხება სადოქტორო პროგრამას, აქ იყო ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა საჯარო მმართველობაში კვლევის და თეორიის საბაზო ცოდნის ბიუჯეტირების და ფინანსების, ასევე საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის კურსების გათვალისწინებას. რაციონალი ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით იყო ის, რომ პროგრამაზე შეიძლება მოვიდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო გამოცდილება აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, თეა სამჭკუაშვილი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ზოგიერთი რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში. საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთა დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ლიტერატურის გადახედვას და ამ ლიტერატურის ნაწილში მითითებული ბმულების საკითხს, განაცხადა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ლიტერატურაზე არის აქცენტი გაკეთებული უნივერსიტეტის მხრიდან. რაც შეეხება ბმულებს, დაწესებულება ელექტრონული ბიბლიოთეკის ნაწილში აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას გამოიყენოს შესაბამისი რესურსი. ზოგიერთ ბმულთან მიმართებით, აქ იგულისხმება ინფორმაციული უსაფრთხოების კომტექსტში საუნივერსიტეტო ბაზებიდან შესვლის თემა, რეკომენდაციის გაცემის საფუძველი შეიძლება ამ ბმულის გაუხსნელობა ყოფილიყო. გვიანდელი ლიტერატურის ნაწილის არსებობა ატარებს მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს და პროგრამის შედეგებზე გავლენას არ ახდენს. სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც სადოქტორო საფეხურზე აპლიკანტი მოდის, მას გარკვეული ცოდნა უნდა ჰქონდეს, რომლის მეშვეობითაც ის შეძლებს კვლევითი ნაწილის განხორციელებას. სწორედ ამიტომ, დაწესებულებას მიაჩნია, რომ საბაზისო ნაწილზე არ უნდა იყოს ორიენტირებული სადოქტორო პროგრამა. ერთ-ერთი საკითხი ეხებოდა სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობის ნაწილს. მისი თქმით, სადოქტორო პროგრამის კლასტერული აკრედიტაციის პერიოდში ეს საკითხი დღის წესრიგში არ იდგა, რადგან სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა განახლებული სტანდარტების დამტკიცებამდე იქნა წარდგენილი სააკრედიტაციოდ. მოგვიანებით ეს საკითხი წინ წამოიწია და რა თქმა უნდა, სადოქტორო პროგრამა მოვიდა თანხვედრაში აღნიშნულ ბრძანებასთან. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

"ციფრული მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიად გაბისონიამ, აღნიშნა, რომ 4-5 წელია, რაც იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ციფრული მმართველობის პრაქტიკულ ასპექტებზე მუშაობს, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ტექნოლოგიებთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც ციფრული მმართველობის სტრატეგიაზე მუშაობდნენ, ერთ-ერთი სუსტი მხარე, რაც ქვეყანას აღმოაჩნდა იყო ამისი აკადემიურ სექტორთან კავშირი. საქართველოს ძალიან აკლია ციფრული მმართველობის შესაბამისი პროგრამების განხორციელება. რაც შეეხება ბმულების გახსნის პრობლემას, ეს მხოლოდ ტექნიკური ხარვეზია, რომელიც უახლოეს მომავალში გამოსწორდება. გარე შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შიდა და გარე შეფასება პროგრამაზე გაკეთებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამას უნდა დაემატოს „პროექტის მენეჯმენტი“. რაც შეეხება საბაკალავრო საფეხურს, მან აღნიშნა, რომ საჯარო მმართველობა 0413-ის ქვეშაა, ეს უკანასკნელი გათვალისწინებული უნდა იყოს. შესაბამისად, მისი აზრით, ამ საფეხურზე „სტრატეგიული მენეჯმენტი“ და „მარკეტინგის საფუძვლები“ პროგრამას უნდა დაემატოს სავალდებულო კურსების სახით.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელმა, თეა სამჭკუაშვილმა, აღნიშნა, რომ „მარკეტინგის საფუძვლები“ არჩევით კურსებშია გათვალისწინებული, თუმცა ამ შენიშვნას უნივერსიტეტი აუცილებლად გაითვალისწინებს. მისი თქმით, როდესაც პროგრამაზე მიმდინარეობდა მუშაობა, დაწესებულებამ გაითვალისწინა საჯარო მმართველობის დარგობრივი მახასიათებელი და მიჰყვა იმ საკითხებს, რომლებსაც ეს დარგობრივი მახასიათებელი ფარავდა, მათ შორის, სამთავრობო დოკუმენტების ნაწილშიც იყო ხაზგასმა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ,გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, რომ სასწავლო კურსის სილაბუსების სწავლის შედეგებში ცოდნა, გაცნობიერება და უნარები ნათლად არის მოცემული. რამდენიმე სილაბუსში აღნიშნული არ არის ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის საკითხი. „საჯარო ფინანსების მართვისა და კონტროლის მექანიზმების“ სასწავლო კურსის სილაბუსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ სილაბუსის შინაარსი და მასში მითითებული ლიტერატურა არ პასუხობს „ციფრული მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამას. იგივე მდგომარეობა არის „საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების“ სასწავლო კურსის სილაბუსთან, სადაც ლიტერატურა და სახელწოდება არ პასუხობს საფეხურს და შინაარსს. ასევე მაგისტრატურის საფეხურზე მითითებულია 8 - 10 სახელმძღვანელო, თუმცა, როდესაც შესასწავლი თემის გაშლა ხდება, არსად არ ჩანს რომელი სახელმძღვანელო უნდა გამოიყენოს სტუდენტმა კონკრეტული საკითხის შესასწავლად. მისი თქმით, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი ამ საკითხებს კიდევ ერთხელ გადახედავს.

"ციფრული მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიად გაბისონიამ, განაცხადა, რომ ის მხარს არ უჭერდა მაგისტრატურის სტუდენტებისთვის გვერდების მითითების დონეზე მოსამზადებელი მასალის დაყვანას, თუმცა იღებდა გამოთქმულ შენიშვნებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის საკითხზე გაცემული რეკომენდაციები მისაღებია, ხოლო რაც შეეხება ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას, უნივერსიტეტს არ აქვს შესაძლებლობა ყველა ტიპის საგანში გაითვალისწინოს ეს საკითხი, რადგან მისი არსებობა დაკავშირებულია მხოლოდ სპეციფიკურ საგნებთან. იქ, სადაც პრაქტიკული ხასიათის საგნებია, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია. მაგალითად, პრაქტიკაზე არაორიენტირებული საგნები ავტონომიურობას ვერ გამოავლენენ. მან ყურადღება გაამახვილა პლაგიატთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაშია მითითებული 2024 წელს ჩატარებული ღონისძიებების საინფორმაციო ბმულები. ამ უკანასკნელში იგულისხმება კვირეულები, კინოჩვენებები და გამოკითხვები.

ერთ-ერთი რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, სტუდენტების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის შეფასების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და შეინარჩუნოს ყოვლისმომცველი სტატისტიკური ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩოს მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს მონაცემების განაწილება აქტივობის სახის, მონაწილეობის კატეგორიის (მაგ. სემინარები, ონლაინ / პირისპირ ღონისძიებები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.), სქესის და სხვა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, ასევე წლების მიხედვით აღირიცხოს დასწრების მაჩვენებელი დროის მანძილზე დინამიკის მონიტორინგის მიზნით“. მისი თქმით, პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრის ამ რეკომენდაციის შესრულებას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. შესაბამისად, კარგი იქნება თუ ეს

რეკომენდაცია გადავა რჩევაში. ამ პროგრამისთვის გარე შეფასება ჯერ არ არის გაკეთებული, თუმცა შემუშავებულია გარკვეული ფორმა და მოძიებულია პროფესორი, რომელიც უახლოეს მომავალში გააკეთებს მას.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, სასწავლო კურსის სილაბუსებში მოცემულ შეფასების ნაწილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება 20-17, 16-13, 12-9 ქულათა სისტემით აფასებს კომპონენტებს. მას აინტერესებდა, რა პრინციპით იყო დაყოფილი ამ კომპონენტების შეფასება. თვითონ კომპონენტების დახასიათებაც უცნაურია და გაუგებარი. მისი აზრით, ეს ნაწილი უნდა გადაიხედოს და გამარტივდეს. მან აღნიშნა, რომ ბევრ სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია „ზეპირი პრეზენტაცია“. მას აინტერესებდა, როგორ შეძლებდა სტუდენტი მიღებული ქულის გასაჩივრებას. ასევე მტკიცების ტვირთის ნაწილში როგორ შეძლებდა ის საკუთარი პოზიციის შესაბამისი მტკიცებულებებით განმტკიცებას. მან ასევე აღნიშნა, რომ „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო პროგრამაში არის „სოციალური კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსი, რომელიც არც პროექტსა და არც საბაკალავრო ნაშრომს არ ითვალისწინებს. ეს წინააღმდეგობაში მოდის დარგობრივ მახასიათებლებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პერსონალის აკადემიურ თავისუფლების პრინციპის ნაწილში დაუშვებელია ჩარევა მაშინაც, როდესაც საუბარია ქულების დიაპაზონთან დაკავშირებით. ეს არის ლექტორის უფლება, კერძოდ, თავისი აკადემიური კომპეტენციის ფარგლებში შეაფასოს სტუდენტის ცოდნა და დაუწეროს შესაბამისი ნიშანი. რაც შეეხება ქულათა რაოდენობას, ეს არის დამოკიდებული იმ მასალის რაოდენობაზე, რომელიც სტუდენტს აქვს მოსამზადებელი. ამ პროგრამაში სადიპლომო ნაშრომი მოცემული არ არის, თუმცა სასწავლო კურსებში კვლევითი პროექტების შესრულებაა გათვალისწინებული, რომელიც იძლევა დაბალანსების საშუალებას იმ პროგრამებისა, რომლებიც საბაკალავრო ნაშრომს ითვალისწინებენ. გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ლექტორს მიმართოს საკუთარი ქულის გაუმჯობესების მიზნით. თუ ლექტორთან სტუდენტი ვერ შეთანხმდება, მაშინ წერილით მომართავს დეკანს, რომელიც შექმნის კომისიას იმ მიზნით ნამდვილად ეკუთვნოდა თუ არა სტუდენტს ქულა.

"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელმა, თეა სამჭკუაშვილმა, აღნიშნა, რომ სილაბუსების საკითხთან დაკავშირებით აკადემიური თავისუფლების ნაწილი გასათვალისწინებელია და ასევე კონკრეტულ სილაბუსებში ჩაშლილია შეფასების სქემა და განმარტებულია თითოეული კომპონენტი რას მოიცავს და რას უნდა აკმაყოფილებდეს. რაც შეეხება სოციოლოგიური კვლევის ნაწილს, სილაბუსით გათვალისწინებულია ფართომასშტაბიანი კვლევის ანგარიშის წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ „სოციოლოგიური კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მასში „საბაკალავრო პროექტის“ არსებობას არ გააჩნია არანაირი დანიშნულება და ფუნქცია. მისი აზრით, შეფასებების სქემა უნდა გამარტივდეს, რადგან ეს უკეთესი იქნება პროგრამების განვითარებისთვის. პროგრამები კარგად არის სტრუქტურირებული. ასევე ამოღებული უნდა იყოს ზეპირი პრეზენტაციები სტუდენტთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა აკრედიტებულ პროგრამაზე ქულებში არის გარკვეული შუალედები გაკეთებული. ქულასთან დაკავშირებული საკითხი ინდივიდუალურად, ლექტორთა შეთანხმებით წყდება. რაც შეეხება კვლევის მიმართულებით საგნის სწავლებას, დაწესებულების მიზანი არ არის ის, რომ კვლევითი ნაშრომი დააწერინოს სტუდენტს. უნივერსიტეტი მხოლოდ კვლევითი უნარების განვითარებაში ეხმარება.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს პირველ კლასტერულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ეს რეკომენდაცია უფრო რჩევის სახეს ატარებს, ვიდრე რეკომენდაციისა. მას აინტერესებდა, რა იყო ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.

ექსპერტმა ქრისტინე ჩიხლაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო სხვა ექსპერტის მხრიდან, რომელიც დამსაქმებლის პოზიციიდან იყო წარმოდგენილი. მან აღნიშნა,

რომ უნივერსიტეტი დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტებს მისდევდა, თუმცა საჭირო იყო უფრო მეტად ამაზე ორიენტირება. ეს რეკომენდაცია ძირითადად გაიცა სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით.
ექსპერტმა ელენე გრიგოლიამ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულება მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების დამტკიცების შესახებ ყოველწლიურად გამოიცემა. მისი თქმით, ციფრული მმართველობის სტრატეგიასთან დაკავშირებით, რომელიც ამ ეტაპზე მიღებული არ არის, მიზანშეწონილია, რომ ყველა ის პროგრამა იყოს თავსებადი და ითვალისწინებდეს გრძელვადიან სტრატეგიებს, რომლებსაც საქართველოს მთავრობა განკარგულებით ამტკიცებს. ის რეალურად დამსაქმებლის თვალსაზრისით ადგენს იმ საჭიროებებს, რომლებიც შრომით ბაზარს ექნება სამომავლოდ. ეს განკარგულებები ითვალისწინებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც თანხვედრაში უნდა იყოს შრომით ბზართან. არგუმენტირებულ პოზიციაში ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია პოზიცია. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მხრიდან წარმოსადგენი იყო სტატისტიკური მონაცემები ე.წ. მონაცემთა დაფუძნებული მართვის პრინციპიდან გამომდინარე. მათ მოიაზრეს, რომ ისეთი კომპონენტის შეფასება, როგორიცაა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფორმაციული უნარების განვითარება, ინდიკატორში და მტკიცებულებებში ცალსახად იყო სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობა, კონფერენციები და სხვ. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო დანართი 2.6-ი, სადაც უბრალოდ ჩამონათვალი იყო ამ ღონისძიებების და არ იყო მითითებული არანაირი დამატებითი მონაცემი, რომელიც მისცემდა ექსპერტებს უკეთესად შესწავლის შესაძლებლობას ყოველივე ზემოთ აღნიშნულის. უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ვიზიტის დროს არ აღუნიშნიათ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, აღნიშნა, რომ სტატისტიკასთან გაცემული რეკომენდაცია უნდა იყოს რჩევაში. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია გაცემული იყო „ციფრული მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ, კერძოდ, „რეკომენდებულია, პროგრამის ორიენტაციის უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემცირდეს ძირითადი სწავლის შედეგების რაოდენობა მაქსიმუმ ათამდე“. მან აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამები შინაარსობრივად ინტერდისციპლინარულია და ლოგიკურია, რომ 10 შედეგი ვერ ექნება. შესაბამისად, ასეთი იმპერატიული მოთხოვნა სწავლის შედეგების რაოდენობის მაქსიმუმ ათამდე დაყვანის რამდენად რელევანტურია.
საერთაშორისო ექსპერტმა, ნატალი ალექსანდრა გურვიტს - სუიტსმა (Natalie Aleksandra Gurvits-Suits) განაცხადა, რომ ძალიან ბევრი სწავლის შედეგის ქონა სტუდენტებისათვის ართულებს იმის გააზრებას, თუ რაზეა პროგრამა. შესაბამისად, მაღალი შედეგებისთვის სასურველია ნაკლები იყოს შედეგების რაოდენობა.
ექსპერტმა ქრისტინე ჩიხლაძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის სახელმძღვანელოსა და ევროპული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულია 6-8 შედეგი. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მაქსიმუმ 10 შედეგი უნდა მიეთითოს. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა გამოკვეთოს პროგრამის უნიკალურობა და ფოკუსირდეს სწავლის შედეგების ხარისხზე.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიად გაბისონიამ განაცხადა, რომ ციფრული მმართველობის სტრატეგიულ დოკუმენტს ჯერ არ გააჩნია იურიდიული ძალა. შესაბამისად, აქ საუბარია ისეთ დოკუმენტზე, რომელიც არის მხოლოდ პროექტი და შესაძლოა 6 თვის შემდეგ მიღებულ მთავრობის ნორმატიულ აქტს არ დაემთხვეს. დაწესებულებისთვის გაუგებარია ძირითადი სწავლის შედეგების რაოდენობის მაქსიმუმ ათამდე შემცირების შესახებ რეკომენდაცია, რადგან ეს პროგრამის ხარისხზე არ მოქმედებს.
ექსპერტმა ელენე გრიგოლიამ აღნიშნა, საქართველოს მთავრობას აქვს დადგენილება, რომელიც ეხება ხედვას 20/30, კერძოდ, საქართველოს განვითარების სტრატეგიას. თუ დაწესებულების მიზანი არის რომ, შრომის ბაზრისთვის მოამზადოს სტუდენტები, მაშინ ხელმისაწვდომი უნდა

იყოს ეს დოკუმენტაცია პროგრამის შექმნის ეტაპზე, რა თქმა უნდა, დაწესებულება უნდა ხელმძღვანელობდეს იმ იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით, რომელიც მოქმედებს. გასათვალისწინებელია ის აზრი, რომ ეს დოკუმენტი შესაძლოა გარკვეული დროის შემდეგ შეიცვალოს, თუმცა პროგრამის შემუშავების ეტაპზე აუცილებლად უნდა იქნას უკვე მიღებული სტრატეგიული და პოლიტიკური დოკუმენტების ანალიზი.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების რაოდენობა უნდა იყოს ბმაში პროგრამის შინაარსთან და არ უნდა იყოს რიცხობრივად ჩარჩო, რასაც მოერგება, განსაკუთრებით ეს ეხება ინტერდისციპლინურ პროგრამასთან მიმართებას. პირველი რეკომენდაცია, რომელიც ეხება სტრატეგიული დოკუმენტების გათვალისწინება პროგრამაში, რა თქმა უნდა, მისაღებია და პროგრამის დამატებითი განვითარების შესაძლებლობას იძლევა, თუმცა ამას სავალდებულო ხასიათი არ უნდა ჰქონდეს.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ იზიარებს დაწესებულების პოზიციას, რადგან საუბარია პროგრამის მიღმა ექსტრაკურიკულურ აქტივობებზე და სტატისტიკის წარმოებაზე, რაც პროგრამებთან ბმაში არ არის. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აქ საუბარია სტუდენტებში ცნობიერების ამაღლებაზე პლაგიატის დასაშვებ ნორმასთან დაკავშირებით, რომელზეც დაწესებულებამ მოიყვანა არგუმენტები თუ რა ნაბიჯებია გადადგმული ამ მიმართულებით. ამ რეკომენდაციის ფორმულირება გაუგებარია, რადგან პლაგიატის დასაშვები მაჩვენებელი ყველასთვის ცნობილია, რომ არის 0%. შესაბამისად, ამ რეკომენდაციის ფორმულირება გადასახედია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:26
დასრულების დრო: 17:00

პროგრამა 1: "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო

მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 2: "ციფრული მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 3: "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 14 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მესამე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის "კერძო სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კერძო სამართალი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კერძო სამართლის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0421 სამართალი;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა გოჩა თუთბერიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი არჩილ ჩოჩია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამა არის ახალი და და პირველად გადის აკრედიტაციას. მისი თქმით, ვიზიტი განხორციელდა 3 დეკემბერს და ჩაიარა მეგობრულ, თანამშრომლურ გარემოში. უნივერსიტეტმა კარგად ითანამშრომლა ექსპერტებთან და ყველა დოკუმენტაცია წარმოადგინა, რომელიც გამოთხოვილი იყო. რაც შეეხება პროგრამას, მასში ჩართული არიან გამოცდილი, პროფესიონალი ადამიანები და ეს თვითშეფასების ანგარიშიდან და თანდართული დოკუმენტაციიდანაც კარგად ჩანს. მან განაცხადა, რომ ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კომპონენტი 1.2 „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ხოლო დანარჩენი კომპონენტი „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". ექსპერტთ ჯგუფს ჰქონდა ორი რეკომენდაცია, რომელიც მიემართებოდა 1.2 და 1.5 კომპონენტს. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და 1.5

კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაცია გადაიტანეს რჩევებში. აღნიშნული რეკომენდაცია ეხებოდა ცალკეული სასწავლო კურსების თემატიკის დაბალანსებას (თემების შერჩევის საკითხში) და თემების თანმიმდევრობის უფრო ლოგიკურად გადანაწილებას. რადგან საგანმანათლებლო პროგრამა მაინც გადის სწავლის შედეგზე ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა უსდ-ს მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევაში. 1.2 კომპონენტში არსებული რეკომენდაციას საგანმანათლებლო დაწესებულება დაეთანხმა და დარჩა რეკომენდაციად. აღნიშნული რეკომენდაცია ეხება სასწავლო პრაქტიკას. სწავლის წერიოდში სტუდენტები გადიან პროფესიულ პრაქტიკას, რაც სასწავლო გეგმის მიხედვით არის სავალდებულო და ეთმობა 15 კრედიტი. მაგრამ თუ სტუდენტს აქვს ერთლიანი სამუშაო გამოცდილება დარგში და ამ მიღებული გამოცდილებიდან არ არის გასული 2 წელი, მას შეუძლია პრაქტიკის ნაცვლას ეს 15 კრედიტი დაფაროს სხვა საგნების არჩევით. ამ კომპონენტში გაცემული რეკომანდაცია ეხება პრაქტიკის კომპონენტში სწავლის შედეგების შეფასებას, ბუნდოვანია სამუშაო გამოცდილების არსებობის შემთხვევაში როგორ მოხდება სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება. დეტალურად გაიწეროს, თუ როგორ აფასებს უნივერსიტეტი აქვს თუ არ სტუდენტს ის ცოდნა და უნარები, რასაც ითვალისწინებს სასწავლო პრაქტიკა. მარტო სამუშაო გამოცდილების ქონა არ არის საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ შეფასდეს აქვს თუ არა სტუდენტს შესაბამისი ცოდნა და უნარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, სოფიო ხუნდაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა 1.2 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაცია. მათი მოსაზრებით თუ ექსპერტების მიერ აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნება გაწერილი ეს მათაც დაეხმარებათ, როგორც ადმინისტრირების პროცესში, ასევე სტუდენტებს. შესაბამისად დაწესებულება იზიარებს ამ რეკომენდაციას და დეტალურად იქნება გაწერილი საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:23
დასრულების დრო: 17:47

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ევროპის უნივერსიტეტის "კერძო სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2026 წლის 01 ივლისამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ

ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის “კერძო სამართლის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტრის ვადით, 2026 წლის 01 ივლისამდე.

სხდომა დასრულდა დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 2025 წლის 14 თებერვალს 17:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ